პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (74) ოქტომბერი 1956 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ მოწინავე მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
2. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ზამბახიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.
3. ბრძანებულება ამხ. გ. პ. ხომერიკის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.
4. ბრძანებულება ამხ. ა. ე. მელაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.
5. ბრძანებულება ამხ. მ. ფ. ჩხეიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.
6. ბრძანებულება ბ. რ. (ბენო) ტელინგატერისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სპორტსმენთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
8. „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 29 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონებში.
9. „საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის და წალენჯიხის რაიონებში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ზუგდიდის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონებში.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებების დაწესების შესახებ.
11. დასახლებული პუნქტების ქალაქის დასახლებად გარდაქმნის წესის შესახებ.
12. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების შესახებ.
13. ბრძანებულება მცხეთის რაიონის დაბა მცხეთის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.
14. ბრძანებულება მცხეთის რაიონის ნიჩბისის სასოფლო საბჭოს სოფლების ნატბეურისა და ზეუბნის გაუქმების შესახებ.
15. ბრძანებულება გეგეჭკორის რაიონის ცენტრის სოფელ გეგეჭკორის დაბად გარდაქმნის შესახებ.
16. ბრძანებულება ქუთაისის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან ბ. კ. თოფურიძის გამოწვევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

1. გრძანებულება საქართველოს სსრ მოწინავე მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

„მშენებლის დღესთან“ დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ალახვერდოვი ყარა-მუსტაფა ოღლი — მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა
2. ანდღულაძე ქრისტეფორე იაგორის-ძე — თბილჰიდროენერგოპროექტის მთავარი ინჟინერი
3. გაბუნია ივანე გაიოზის-ძე — საქალაქო მშენებლობის დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი
4. ბარაბაძე გიგლა ვლადიმერის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ ქუთაისის სამშენებლო სამმართველოს მებეტონე
5. ბაქრაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე — საქჰიდროენერგომშენის ტრესტის ექსკავატორზე მომუშავე
6. გაფრინდაშვილი ქსენია თადეოსის ასული — თბილისის კერამიკული კომბინატის მფენავი
7. გვოზდიკოვი ვასილ დიმიტრის-ძე — მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე
8. გიორგაძე ნესტორ ასალოს-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი
9. ქიცბა ბორის მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის ბრიგადირი
10. დუბოვი ანდრია პავლეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ბულდოზერისტი
11. ვაშაკიძე გრიგოლ ვიქტორის-ძე — მეტალურგმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინერი
12. ზიაბკინი ივანე ექვთიმეს-ძე — გუმათჰესის მეარმატურეთა ბრიგადირი
13. თადაევი ვახტანგ სიმონის-ძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეარმატურე
14. თვალავაძე გიორგი სარდიონის-ძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი
15. კახიძე იბრაგიმ ქებასის-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის კალატოზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. კაუნ ნიკოლოზ პეტრეს-ძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზირებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მებათქაში

17. კეჩხუაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — „საქკვებმრეწვპროექტის“ უფროსი არქიტექტორი

18. კედია ვალერიან ალექსანდრეს-ძე — საქალაქო მშენებლობის დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტის მთავარი არქიტექტორი

19. კიკაძე დავით მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის მემონტაჟე

20. კოკოზაშვილი შოთა ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მებათქაშეთა ბრიგადირი

21. კუდოიაროვი ნიკოლოზ დავითის-ძე — ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის ექსკავატორების მემანქანეთა ბრიგადირი

22. ლაგოიდა გრიგოლ თევდორეს-ძე — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის მემონტაჟე

23. მარკოვი თევდორე პავლეს-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კალატოზი

24. მელიქიშვილი ალექსი გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის დურგალთა ბრიგადირი

25. ობოლაძე გრუზო ივანეს-ძე

26. ოდიკაძე გიორგი იოსების-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ექსკავატორის მემანქანე

27. ოლეინიკოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე — ლაჯანურჰესის მშენებლობის გამყვანთა ბრიგადირი

28. ომანიძე ნადეჟდა ფილიპეს ასული — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მებეტონეთა ბრიგადირი

29. ოქსუზიან ავეტის ვასილის-ძე — სამტრედიის აგურის ქარხნის კრამიტის საამქროს მუშა

30. ჟელიაევი გაბრიელ სტეფანეს-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის ზეინკალთა და სანტექნიკოსთა ბრიგადირი

31. საანიშვილი ალექსანდრე იაკობის-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს გზის ინჟინერი

32. ტევონიან ლევან პოღოსის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი

33. ტუშკანოვა ბარბალე ვასილის ასული — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მებათქაშეთა ბრიგადირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ქამუშაძე რუბენ ვარდანის-ძე — ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის კალატოზი

35. ქართველიშვილი ლევან იასეს-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი

36. ქუთათელაძე გივი კონსტანტინეს-ძე — საჰიდროენერგომშენის ტრესტის მაღალვოლტიანი ქსელის სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი

37. ყავლაშვილი ვასილ ტიმოთეს-ძე — ტყიბულჰესის მშენებლობის უფროსი

38. შაშიაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე

39. ჩხენკელი ივანე ნოეს-ძე — თბილისის ქალაქპროექტის მმართველი

40. ცატუროვი ალექსანდრე ტიგრანის-ძე — ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის უფროსი

41. ცურკავა ლევან იოსების-ძე — „კოლხიდმშენის“ მემონტაჟე

42. ცქიფურიშვილი კარლო გალაქტიონის-ძე — ტრესტ „საქელექტროქსელმშენის“ მემონტაჟე

43. ცხოვრებოვი იასონ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის კალატოზი

44. წიკლაური არსენ დავითის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი

45. ჭირაქაძე გრიგოლ ვარლამის-ძე — სასოფლო მშენებლობის დამპროექტებელი ინსტიტუტის დირექტორი

46. ჭელიძე ვალერიან ილიას-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 სამშენებლო სამმართველოს დურგალთა ბრიგადირი

47. ხორიშკო ივანე ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის დურგალი

48. ჯალაღანია ავთანდილ კონსტანტინეს-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კალატოზი

49. ჯანელიძე ილია იაკობის-ძე — „საქსახპროექტის“ ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტაიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ზამბახიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 20 აგვისტო.

3. ბრძანებულება ამხ. გ. პ. ხომერიკის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გრიგოლ პეტრეს-ძე ხომერიკი საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 27 აგვისტო.

4. ბრძანებულება ამხ. ა. ე. მელაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 31 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბრძანებულება ამხ. მ. ფ. ჩხეიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 31 აგვისტო.

6. ბრძანებულება ბ. რ. (ბენო) ტელინგატერისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

ბ. რ. ტელინგატერის დაბადებიდან ოთხმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით და დეკორაციული გაფორმების ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს ბენედიქტე რაფიელის-ძე (ბენო) ტელინგატერს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 31 აგვისტო.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სპორტსმენთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და 1956 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გაგნიძე კონსტანტინე მიხეილის-ძე — ფეხბურთელი
2. გვახარია ნოდარ ვალერიანის-ძე — წყალბურთელი
3. ელოშვილი ვლადიმერ სერგის-ძე — ფეხბურთელი
4. ზაზროშვილი ანდრია ივანეს-ძე — ფეხბურთელი
5. თიკანაძე მიხეილ იაგორის-ძე — მწვრთვნელი ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კალოევი ზაურ გრიგოლის-ძე — ფეხბურთელი
7. კაპიტანოვი ლევ ნიკოლოზის-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში
8. კიკნაძე არჩილ სამუილის-ძე — მწვრთნელი ფეხბურთში
9. კლდიაშვილი მარიამ ვლადიმერის ასული — მწვრთნელი ჩოგბურთში
10. კოტრიკაძე ალექსანდრე პარმენის-ძე — ფეხბურთელი
11. კუხიანიძე ვახტანგ მელიტონის-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში
12. მარღანია ვლადიმერ ჩიჩინოს-ძე — ფეხბურთელი
13. ნიკიტინი ბორის ვასილის-ძე — მოცურავე
14. ნოზაძე შალვა ივანეს-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში
15. ოგანოვი ივანე ივანეს-ძე — მწვრთნელი ტანვარჯიშში
16. ოვანესიანი კონსტანტინე არტემის-ძე — წყალბურთელი
17. პირაევი მიხეილ იაკობის-ძე — ფეხბურთელი
18. რაზმაძე ვლადიმერ სერგის-ძე — მწვრთნელი ნიჩბოსნობაში
19. სხირტლაძე გიორგი სერგის-ძე — მოჭიდავე
20. ღოღობერიძე ავთანდილ ნიკოლოზის-ძე — ფეხბურთელი, გუნდის კაპიტანი
21. ჩაჩავა ზურაბ როსტომის-ძე — წყალბურთელი
22. ჩხიკვაძე ირაკლი დიმიტრის-ძე — წყალბურთელი
23. ცალქალამანიძე მირიან ვასილის-ძე — მოჭიდავე
24. ძეკონსკი ლევ ვიქტორის-ძე — მწვრთნელი კალათბურთში
25. ძიაპშიპა ნიაზი ალექსანდრეს-ძე — ფეხბურთელი
26. ძნელაძე რომან მიხეილის-ძე — მოჭიდავე
27. ჭკუასელი ავთანდილ ნოეს-ძე — ფეხბურთელი
28. ხასაია ბორის ნიკოლოზის-ძე — ფეხბურთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ხოჭოლავა გიორგი ივანეს-ძე — ფეხბურთელი
30. ჯეჯელავა გაიოზ ივანეს-ძე — უფროსი მწვრთნელი ფეხბურთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 1 სექტემბერი.

8. „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 29 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 29 მაისის დადგენილების შესასრულებლად ადიგენის, ასპინძისა და წულუკიძის რაიონებში ჩატარებული ერთგვარი მუშაობა, შემოწმებულია რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროებისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს მუშაობა და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მიუხედავად ამისა აღნიშნულ რაიონებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაისაბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება არ განუხილავთ, ხოლო ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება რაიონის სასოფლო საბჭოებს არ დაუგზავნა.

შემოწმებით დადგენილია აგრეთვე, რომ აღნიშნული რაიონების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროები და სასოფლო საბჭოების აღმასკომები დროულად არ აწარმოებენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციას.

ასე, მაგალითად: ახალდაბადებული ბავშვები ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით რეგისტრირებულია 1955—56 წ.წ. ადიგენის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში—12, ასპინძის რაიმმაჩის ბიუროში—20 და წულუკიძის რაიმმაჩის ბიუროში—9; ხოლო ახალქალაქის რაიონში ახალდაბადებულ ბავშვთა უმრავლესობა რეგისტრაციაში გატარებულია დაწესებული ვადების დიდი დარღვევით; ამავე რაიონებში რეგისტრირებული არ იყო 3-დან 10 წლამდე ასაკის ზოგიერთი ბავშვი.

ადგილი აქვს ადიგენის, თერჯოლის და ორჯონიკიძის რაიონებში გარდაცვალებულთა დაგვიანებით რეგისტრაციის ფაქტებს. ახალქალაქის რაიო-

ნის ვაჩიანის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული არ იყო გარდაცვალების 3 შემთხვევა;

შემოწმებით გამოვლინებულია აგრეთვე რომ ზოგიერთი რაიონის სამკურნალო დაწესებულებები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს დროულად არ აწვდიან ცნობებს მკვდრადშობილ და მშობიარობის შემდეგ გარდაცვალებულ ბავშვების შესახებ.

ასევე დადგენილია, რომ მეორე ან მესამე ქორწინებაში მყოფ პირებს არა აქვთ წარდგენილი ცნობები წინა ქორწინების გაუქმების შესახებ.

ორჯონიკიძის, წულუკიძის და თერჯოლის რაიმმაჩის ბიუროებში არ სწარმოებს მშრომელთა განცხადებების აღრიცხვა და მათზე პასუხების დროულად გაცემა. თერჯოლის რაიმმაჩის ბიუროში ა/წ აგვისტოში შემოსულ 40 განცხადებაზე პასუხი არ იყო გაცემული, ხოლო დაბადების მოწმობების მისაღებად შემოსულ განცხადებებზე არ იყო დაკრული სახელმწიფო ბაჟის მარკები.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ რაიონულ ბიუროებს ჯერ კიდევ არა აქვთ შესაფერისი ბინები, არ გააჩნიათ საჭირო ინვენტარი, არ არის უზრუნველყოფილი დოკუმენტების სათანადოდ დაცვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, თერჯოლის, ორჯონიკიძისა და წულუკიძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროებისა და სასოფლო საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გამოავლინონ და დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში გაატარონ დაბადებისა და გარდაცვალების ყველა შემთხვევა;

გ) მიაღწიონ იმას, რომ ახალდაბადებულნი და გარდაცვალებულნი რეგისტრირებული იყვნენ დაწესებული ვადების დაცვით;

დ) უზრუნველყონ მშრომელთა განცხადებების დროულად განხილვა და პასუხების გაცემა;

ე) მიიღონ ზომები, რათა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ბიუროებმა და სასოფლო საბჭოებმა დროულად და ხარისხიანად აწარმოონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების გაფორმება და მათი წარდგენა სათანადო ორგანოებში;

ვ) პერიოდულად შეამოწმონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროებისა და სასოფლო საბჭოების მუშაობა ამ მიმართულებით, შედეგები განიხილონ აღმასკომების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ზ) უზრუნველყონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროები შესაფერისი ბინებით, ინვენტარით და მიიღონ ზომები დოკუმენტების სათანადო შენახვა-დაცვისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილს უზრუნველყოს სათანადო ზედამხედველობა და კონტროლი, რათა სამშობიარო სახლებისა და საავადმყოფოების ხელმძღვანელებმა დროულად წარუდგინონ მმაჩის ორგანოებს ცნობები დაბადებულთა და გარდაცვალებულთა შესახებ და უზრუნველყოფილი იქნან საექიმო პუნქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები დაბადებისა და გარდაცვალების ცნობების დაწესებული ფორმის ბლანკებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეს-პუბლიკური მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. ო. დ. მუსერიძეს და საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ნ. ხაჩიძეს გააძლიერონ კონტროლი და დახმარება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობაზე.

4. ერჩიოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 29 მაისის დადგენილების შესრულების მდგომარეობა და მიიღონ ზომები ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებითი აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

9. „საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის და წალენჯიხის რაიონებში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ზუგდიდის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის და წალენჯიხის რაიონებში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ზუგდიდის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ჩატარებული აქვთ გარკვეული მუშაობა, შემოწმებული და განხილული აქვთ აღმასკომების სხდომებზე და საბჭოების სესიებზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საკითხი და დასახული აქვთ სათანადო ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ამისა შემოწმებული რაიონების საბჭოების აღმასკომებს და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. ასე, მაგალითად: ადიგენის რაიონის სკოლებიდან 1955—56 სასწავლო წელს გასულია 328 მოსწავლე, მათ შორის დისციპლინის დარღვევისა და გაკვეთილებზე სისტემატური დაუსწრებლობის გამო გარიცხულია 20 მოსწავლე.

ახალქალაქის რაიონის სკოლებში, გასულ წელს, სწავლებაში ჩაბმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო სასკოლო ასაკის 85 ბავშვი, ამავე რაიონის ვაჩიანის საშუალო სკოლას ჩამოშორდა—20 მოსწავლე, ხოლო დილისკის საშუალო სკოლის პირველ კლასს—11 მოსწავლე. თერჯოლის რაიონის სკოლებს სხვადასხვა მიზეზებით ჩამოშორდა—34 ბავშვი, ხოლო წულუკიძის რაიონის სკოლებს 21.

ასევე დადგენილია, რომ ამ რაიონების ზოგიერთი სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა. ადიგენის, თერჯოლის, ახალქალაქის, ორჯონიკიძის და წულუკიძის რაიონების მთელი რიგი სკოლების მიერ არ იყო ჩატარებული სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა, რის შედეგადაც წულუკიძის რაიონის სკოლებში არ იყო ჩაბმული—16 ბავშვი, თერჯოლის რაიონში—30 და ორჯონიკიძის რაიონში—22.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიის, ადიგენის რაიონის სოფ. ვარხნის და სხვა რაიონების სკოლების პირველი კლასის მოსწავლეების პირადი საქმეები არ არის მოგვარებული, ახლად ჩარიცხულ მოსწავლეებს არა აქვთ წარმოდგენილი დაბადების მოწმობები.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ შემოწმებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, საბჭოების დეპუტატები, სახალხო განათლების მუდმივი კომისიები და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ცხოვრებაში განუხრელად გატარებას, საკმაოდ არ ხელმძღვანელობენ სკოლებს და კონტროლს არ უწევენ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ზუგდიდის, თერჯოლის, ორჯონიკიძისა და წულუკიძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განუხრელად იხელმძღვანელონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონით და უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საკითხზე, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საკითხი და შემოწმების შედეგები მოისმინონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში საბჭოების დეპუტატები, სახალხო განათლების მუდმივი კომისიები და მოსახლეობის აქტივი;

გ) გაუმჯობესონ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ზუსტი აღრიცხვა და სკოლაში ჩაბმა, აგრეთვე სკოლიდან ჩამოშორებული ბავშვების ხელახლად სწავლებაში ჩაბმა;

დ) მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არასაპატიო მიზეზით გამოყვთ ბავშვები სკოლიდან და ხელს უშლიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას;

ე) დაავალონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს, რომ მათ დროულად გასცენ სკოლაში მისაღებ ბავშვების დაბადების მოწმობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაეევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ნ. ჯიბლაძე) გააძლიეროს კონტროლი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე; სისტემატურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებში ამ კანონის გატარების მდგომარეობა და მიიღოს ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში სკოლის ასაკის ყველა ბავშვის ჩასაბმელად.

3. ერჩიოთ აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ და დასახონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებების დაწესების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაწესდეს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებები საწარმოო სწავლების ოსტატთა, შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მასწავლებელთა და საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებისათვის.

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956
წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებათა შესახებ

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭებათ სახელოსნო, რკინიგზის, სამთოსამრეწველო, სამხატვრო-სახელოსნო, სამთოტექნიკურ, ტექნიკურ, სპეციალურ სახელოსნო (სოფლის მეურნეობის) სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სამთოსამრეწველო, სამშენებლო, სამთო მექანიზაციის სკოლების საწარმოო სწავლების ოსტატებს, საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც (როგორც წესი), აქვთ საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება, უმუშავიათ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში არა ნაკლებ 10 წლისა და განსაკუთრებით გამოირჩევიან აღმზრდელობითი-პედაგოგიური მოღვაწეობით, თვალსაჩინო წარმატებითი მაჩვენებლებით ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და პროფესიული სწავლების საქმეში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭებათ რკინიგზელთა სახელოსნო, სამთოსამრეწველო, სამხატვრო-სახელოსნო, სამთოტექნიკურ, ტექნიკურ, სპეციალურ სახელოსნო (სოფლის მეურნეობის) სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მასწავლებლებს, საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში უმუშავიათ განუწყვეტლივ არანაკლებ 10 წლისა და განსაკუთრებით გამოირჩევიან აღმზრდელობითი პედაგოგიური მოღვაწეობით, თვალსაჩინო წარმატებითი მაჩვენებლებით ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და სწავლების საქმეში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებებს ანიჭებს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს წარდგენით.

შუამდგომლობის აღძვრა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკურ განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უშუალოდ საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს წინაშე, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში კი—ასსრ მინისტრთა საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს რა შუამდგომლობას, თავის გადაწყვეტილებას საპატიო წოდებებზე წარდგენის შესახებ ყველა საბუთთან ერთად, აგრეთვე საქალაქო, რაიონული, საოლქო ან რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი პროფკავშირის დასკვნით უგზავნის საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს.

საპატიო წოდებების მისანიჭებლად შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს: ვრცელი საწარმოო დახასიათება წარსადგენ კანდიდატზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მისი საწარმოო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები და დამსახურება პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და ფოტოსურათი.

საპატიო წოდების მისანიჭებელ წარდგინებაში, რომლითაც საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველო შედის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, უნდა იყოს ნაჩვენები მოკლე ბიოგრაფიული ცნობები წარსადგენ კანდიდატზე, ძირითადი მომენტები მისი საწარმოო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დამსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და პროფესიული სწავლების საქმეში. წარდგინებას ხელს უნდა აწერდეს საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი.

საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს წარდგინებას თან უნდა ერთოდეს წარსადგენი კანდიდატის პირადი საქმე, პირად საქმეში უნდა იყოს შემდეგი საბუთები: რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, ან ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, საწარმოო დახასიათება, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დასკვნა.

იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები, ჩაბარდებათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო წოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დასახლებული პუნქტების ქალაქის დასახლებად გარდაქმნის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დასახლებული პუნქტების ქალაქის დასახლებად გარდაქმნის შემდეგი ძირითადი დებულება:

1. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა დასახლებული პუნქტი იყოფა ქალაქისა და სოფლის დასახლებად.

2. ქალაქის დასახლებანი იყოფა ორ კატეგორიად: ქალაქები და ქალაქის ტიპის (მუშათა) დასახლებანი.

3. ქალაქს მიეკუთვნება დასახლებული პუნქტი, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და სამრეწველო ცენტრს, სადაც სულ ცოტა 5 ათასი მცხოვრებია, თუ ამ მოსახლეობაში მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები შეადგენენ სულ ცოტა 75 პროცენტს.

გარდა აღნიშნული მაჩვენებლებისა, მხედველობაში უნდა იყოს, მიღებული აგრეთვე დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ-ეკონომიური მნიშვნელობა, მისი კეთილმოწყობა, კომუნალური მეურნეობა და მთლიანი განაშენიანება ქალაქის ფარგალში.

4. ქალაქის ტიპის (მუშათა) დასახლებას მიეკუთვნება არსებული, ან მსხვილ ქარხანასთან, ფაბრიკასთან, შახტთან, ელექტროსადგურთან, დიდ ჰიდროტექნიკურ მშენებლობასთან და სხვა ეკონომიურად მნიშვნელოვან ობიექტთან ახლად შექმნილი პუნქტი, სადაც გარდაქმნის მომენტისათვის სულ ცოტა 2 ათასი მცხოვრებია, თუ მოსახლეობაში მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები შეადგენენ სულ ცოტა 75 პროცენტს.

ქალაქის ტიპის დასახლებას შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე საკურორტო დასახლება, სადაც სულ ცოტა 2 ათასი მცხოვრებია, თუ ამ დასახლებაში სამკურნალოდ და დასასვენებლად ყოველწლიურად ჩამოსულთა რიცხვი მუდმივი მოსახლეობის 50 პროცენტზე ნაკლები არ არის და მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია არა უმეტეს 60 პროცენტისა.

ცალკეულ შემთხვევებში ქალაქის ტიპის (მუშათა) დასახლებას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებული პუნქტი ნაკლები მოსახლეობითაც. თუ ის შექმნილია განსაკუთრებული მნიშვნელობის მშენებლობასთან, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დასახლებული პუნქტი კეთილმოწყობილია ქალაქის მიხედვით და ის თავის გარშემო მყოფი მოსახლეობისათვის წარმოადგენს კულტურული და ეკონომიური მიზიდულობის ცენტრს.

5. ქალაქი, რომელშიც 40 ათასზე მეტი მცხოვრებია, აქვს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა და წარმოადგენს კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრს, გამოიყოფა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულად და უშუალოდ დაექვემდებარება რესპუბლიკურ ორგანოებს.

ცალკეულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია გამოყოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სამეურნეო ერთეულად ქალაქი 40 ათასზე ნაკლები მოსახლეობითაც თუ მას აქვს სამრეწველო და დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა და გააჩნია ეკონომიური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

6. დასახლებული პუნქტები, რომელთაც არა აქვთ ქალაქის დასახლების აღნიშნული მაჩვენებლები (სოფელი, სააგარაკო ადგილები, კოლმეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და საბჭოთა მეურნეობის დასახლებანი), ეკუთვნიან სოფლის დასახლებათა კატეგორიას და მათში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად აირჩევიან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საკითხს დასახლებული პუნქტების ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაქმნის შესახებ აყენებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს ამ საკითხებს, თუ თვითეულ ცალკე შემთხვევაში არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასკვნა.

8. ამ დადგენილების მიღების შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 12 აგვისტოს დადგენილება „დასახლებული ადგილების ქალაქად გამოცხადების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

12. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 11 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება.

3. გამოიცეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება შემდეგი ტირაჟით:

ქართულ ენაზე	20.000	ეგზ.
რუსულ ენაზე	6.000	„
სომხურ ენაზე	3.000	„
აზერბაიჯანულ ენაზე	2.000	„

4. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბ. გ. ნანიტაშვილს უზრუნველყოს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების განოცემა ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი—**ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

7559

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1936 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი დებულებანი

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ქმნიან მუდმივ კომისიებს, რომლებიც ითვლებიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოებად.

2. მუდმივი კომისიები იქმნება იმ მიზნით, რომ განამტკიცონ მოსახლეობის კავშირი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ დონის ამაღლებას, სახელმწიფო წესრიგის დაცვას, საბჭოთა სახელმწიფო ძალიერების ზრდას, კანონების შესრულებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

3. მშრომელთა დეპუტატების თვითეული საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭო, ადგილობრივი პირობებისა და რეალური საჭიროების მიხედვით, ჩვეულებრივ, ჰქმნის შემდეგ მუდმივ კომისიებს: საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგზაო მშენებლობის, კეთილმოწყობის, ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, გამწვანებატყის გაშენებისა და სხვა. რიცხვი მუდმივი კომისიებისა სხვადასხვაა, იმის მიხედვით თუ როგორია საბჭოს დეპუტატთა რიცხვი და სახალხო მეურნეობის დარგობრივი მოთხოვნები. დიდ სასოფლო საბჭოში, სადაც სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები წამყვანია, შეიძლება შეიქმნას ცალკე კომისიები მესაქონლეობისა, ტექნიკური კულტურებისა, ელექტროფიკაციისა და სხვა. ასევე დიდ ქალაქებში. კომუნალური მეურნეობის კომისიის ნაცვლად შეიძლება შეიქმნას კომისიები: კომუნალური მეურნეობისა, კეთილმოწყობისა, საბინაო მშენებლობისა, საგზაო მშენებლობისა, ადგილობრივი ტრანსპორტისა. მცირე სასოფლო საბჭოში იქმნება სამი-ოთხი მუდმივი კომისია, რომლებშიც შეიძლება გაერთიანდეს სახალხო მეურნეობის ორი ან მეტი ერთგვაროვანი დარგი.

4. მუდმივი კომისიების არჩევა ხდება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს სესიაზე საბჭოს დეპუტატთა რიცხვიდან და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

მუდმივ კომისიებში არ შეიძლება არჩეულ იქნან მოცემული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. საბჭოს დეპუტატი, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგეა, შეიძლება არჩეულ იქნას იმ მუდმივი კომისიის წევრად, რომლის მუშაობა დაკავშირებული არ არის მისი განყოფილების მუშაობასთან.

მუდმივი კომისია პირველ სხდომაზე თავის წევრთა რიცხვიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.

5. მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ ან მდივნად არ შეიძლება არჩეული იყოს შესაბამისი საბჭოს აღმასკომის წევრი ან აღმასკომის განყოფილების გამგე.

6. მუდმივი კომისიები, გარდა თავიანთი წევრებისა, მუშაობაში აბამენ ადგილობრივ აქტივს მუშებიდან, კოლმეურნეებიდან, მოსამსახურეებიდან, ინტელიგენციიდან და დიასახლისებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ცვლილება მუდმივი კომისიის შემადგენლობაში: რომელიმე დეპუტატის კომისიიდან გამოყვანა, კომისიის შემადგენლობის ახალი წევრებით შევსება, ორი კომისიის გაერთიანება და სხვა, ხდება მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოს სესიაზე, რომელმაც ის აირჩია.

8. მუდმივი კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ იმ საბჭოს წინაშე, რომელმაც ის აირჩია; იგი ანგარიშვალდებული არ არის არც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და არც ზემდგომი საბჭოს სათანადო მუდმივი კომისიის წინაშე. მუდმივი კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, ხოლო სესიიდან სესიამდე მუდმივი კომისიების მუშაობას წარმართავს და მუშაობაში ხელს უწყობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

9. მუდმივი კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ, ვიდრე ორ თვეში ერთხელ.

კომისიის სხდომა კანონიერია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიებში ჩაბმული აქტივი სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

10. მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის მუშაობას, ამოწმებს კომისიის სამუშაო გეგმის შესრულებას, საჭიროების მიხედვით უკავშირდება კომისიის სახელით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამყარებს მუდმივ კავშირს საბჭოსთან და მის აღმასრულებელ კომიტეტთან.

11. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) აცნობს მუდმივ კომისიებს ზემდგომი საბჭოთა ორგანოების დირექტივებს და განკარგულებებს, აგრეთვე იმ დადგენილებებს, რომლებსაც კავშირი აქვთ კომისიის მუშაობასთან;

ბ) აღმასკომის სამუშაო გეგმის განხილვის დროს იწვევს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს;

გ) იწვევს აღმასკომის სხდომაზე იმ მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, რომლის გამგებლობაშიც შედის სხდომაზე განსახილველი საკითხი;

დ) ყოველმხრივ ეხმარება მუდმივ კომისიებს მათს მუშაობაში; რჩევას აძლევს მუდმივი კომისიების სამუშაო გეგმების შედგენაში და ხელს უწყობს ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში;

ე) განიხილავს აღმასკომის სხდომაზე მუდმივი კომისიების მიერ შემოტანილ საკითხებს;

ვ) რეგულარულად იწვევს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეების (სამმართველოთა უფროსების) თათბირებს გამოცდილების გასაზიარებლად და სხვ;

ზ) მიუჩენს მუდმივ კომისიებს სამუშაო ადგილს, უზრუნველყოფს მათს ტექნიკურ მომსახურებას (ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები) და მათი საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის შენახვას.

მუდმივი კომისიების უფლებები

12. მუდმივი კომისიები მუშაობას აწარმოებენ როგორც საბჭოს დავალებით, ისე თავიანთი ინიციატივით.

13. მუდმივ კომისიებს არა აქვთ ადმინისტრაციული და განმკარგულებელი უფლებები და უფლება არა აქვთ მიიღონ დამავალდებულებელი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილებანი. თავიანთი წინადადებები და დასკვნები მათ შეაქვთ საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

14. მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ:

ა) გაეცნონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების დირექტივებს და განკარგულებებს, გაეცნონ აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს იმ საკითხებზე, რომლებიც მუდმივი კომისიების გამგებლობას განეკუთვნება;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმით აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მათი სამუშაო გეგმის და მათ მიერ შეტანილი ან მათს გამგებლობაში შემავალი საკითხის განხილვის დროს;

გ) მიიღონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისაგან აღმასკომის სამუშაო გეგმა;

დ) შეამოწმონ აღმასკომის შესაბამისი სამმართველოების ან განყოფილებების, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობა;

ე) გაეცნონ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინსტრუქციებსა და ბრძანებებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კომისიებს სჭირდებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დავალებების შესასრულებლად;

ვ) მოსთხოვონ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს მასალები და ცნობები, რომლებიც საჭიროა კომისიების მუშაობისათვის; მოსთხოვონ აგრეთვე ახსნა-განმარტება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მიზეზის შესახებ;

ზ) მოიწვიონ კომისიის სხდომაზე აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები მათს გამგებლობაში შემავალი საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

თ) მოიწვიონ სპეციალისტები იმ საკითხებზე კონსულტაციისათვის, რომლებიც კომისიის კომპეტენციას შეადგენენ.

15. მუდმივი კომისიები ადგენენ სხდომის ოქმებს, რომლებსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

16. მუდმივი კომისიის საქმისწარმოება ინახება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში.

17. მუდმივი კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას;

ბ) რეგულარულად იწვევს კომისიის სხდომებს;

გ) ამოწმებს კომისიის სამუშაო გეგმისა და კომისიის დადგენილებების შესრულებას;

დ) ამყარებს მუდმივ საქმიან კავშირს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან;

ე) ამზადებს საკითხებს და მასალებს აღმასკომისა და კომისიის სხდომისათვის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიისათვის;

ვ) რეგულარულად აბარებს ანგარიშს კომისიის მუშაობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს (სესიას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მუდმივი კომისიის მდივანს, გარდა საქმისწარმოებისა და ოქმების გაფორმებისა, ევალება კომისიის წევრებისა და კომისიაში ჩაბმული აქტივის აღრიცხვა და თვალყურის დევნება, რომ ისინი სისტემატურად ესწრებოდნენ კომისიის სხდომებს და ასრულებდნენ კომისიის დავალებებს.

მუდმივი კომისიების ძირით ა ნ ი ამოცანები

19. მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პრაქტიკულ საქმიანობაში და ეხმარებიან საბჭოს მისი საქმიანობის ყველა დარგში.

20. მუდმივი კომისიები მუშაობას აწარმოებენ თავიანთი კალენდარული სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც დგება საბჭოს აღმასკომის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

სამუშაო გეგმას კომისია იხილავს და ამტკიცებს თავის სხდომაზე და აცნობს საბჭოს აღმასკომს.

21. მუდმივი კომისიები:

ა) ფართოდ აცნობენ მშრომელ მასებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებს და ყოველმხრივ ხელს უწყობენ მათი ცხოვრებაში გატარებას;

ბ) ხელს უწყობენ ძასებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, რათა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას და ებრძვიან ჩამორჩენილობას, გამომძალველობას, პირადი ინტერესების საზოგადო ინტერესებზე მაღლა დაყენებას და სხვ.;

გ) ამოწმებენ შესაბამისი საბჭოს აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების, აგრეთვე საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სარეწაო კოოპერაციის არტელებისა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას მათს ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად, და შემოწმების შედეგებს იხილავენ კომისიის სხდომაზე;

დ) იხილავენ თავიანთ სხდომებზე ცალკეულ წინადადებებს, შემოტანილს კომისიის წევრების ან აქტივის მიერ ან ორგანიზაციის თუ დაწესებულების მიერ შემოტანილ ცალკეულ წინადადებებს, აყენებენ საბჭოს სესიის ან აღმასკომის წინაშე საკითხებს, რომელთა მიზანია მუშაობის ამა თუ იმ უბნის გაუმჯობესება.

ე) ამუშავებენ და იძლევიან თავიანთ დასკვნას აღმასკომის მიერ საბჭოს სესიისათვის წარსადგენი წინადადებების შესახებ და საჭირო შემთხვევაში ამოჰყოფენ ამ საკითხზე თავიანთ თანამმხსენებელს;

ვ) ამოწმებენ აღმასკომის შესაბამის სამმართველოებში ან განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას და შეაქვთ აღმასკომში თავიანთი წინადადებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად;

ზ) ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამომრჩეველთა განაწესების ცხოვრებაში გატარებას.

ცალკეული მუდმივი კომისიების ამოცანები

22. საბიუჯეტო კომისია:

ა) განიხილავს შესაბამისი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს და შეაქვს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი წინადადებანი ბიუჯეტის პროექტში შესწორებათა შეტანის შესახებ ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების სხვა საკითხებზე;

ბ) ხელს უწყობს საბჭოს ბიუჯეტის შესრულებას, სახავს ღონისძიებებს საფინანსო მუშაობის გასაუმჯობესებლად და გამოდის საბჭოს სესიაზე თანამოხსენებით ბიუჯეტის განხილვის დროს;

გ) ეწევა ხასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას და ეხმარება საბჭოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების და სახელმწიფო შემოსავლების წლიური და კვარტალური გეგმების შესრულებაში, თვითდაბეგვრის თანხების დროზე შეგროვებაში და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებაში;

დ) ამოწმებს კანონით დაწესებული შეღავათების სწორად შეფარდებას სახელმწიფო გადასახადებით დაბეგვრისას;

ე) ამოწმებს დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ საფინანსო დისციპლინის დაცვას, სახელმწიფო სახსრების დაზოგვით გამოყენებას და ხელს უწყობს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირებას;

ვ) ყოველმხრივ ხელს უწყობს საფინანსო ორგანოებს ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვაში და საშტატო დისციპლინის დაცვის შემოწმებაში;

ზ) თვალყურს ადევნებს, რათა სწორად დაენიშნოთ და მიეცეთ პენსიები პენსიონერებს და დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს; სწავლობს მათს საყოფაცხოვრებო მდგომარეობას და საჭირო შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებანი მშრომელთა დეპუტატების საბჭოში ან მის აღმასრულებელ კომიტეტში;

თ) ყოველმხრივ ხელს უწყობს შემნახველი სალაროების მუშაობას, მშრომელთა დანაზოგების შემნახველ სალაროებში მოზიდვას, სახელმწიფო სესხების გავრცელებას და ხელმოწერილი თანხების თავის დროზე შეგროვებას, ხელის მომწერთათვის სესხის ობლიგაციების დარიგებას;

ი) ხელს უწყობს სახელმწიფო დაზღვევის განვითარებას; ეხმარება საბჭოს დაზღვევის საქმის სწორად დაყენებაში და ზარალის ანაზღაურების სისწორეზე კონტროლის გაწევაში.

23. სოფლის მეურნეობის კომისია:

ა) ყოველი ღონისძიებით ეხმარება საბჭოს და მის აღმასკომს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად დაცვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელების საქმეში;

ბ) ყოველმხრივ ეხმარება სოფლის მეურნეობის ორგანოებს მოსავლიანობის გადიდების გეგმების შესრულების საქმეში;

გ) ხელს უწყობს ღონისძიებათა განხორციელებას სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და სოფლის ელექტროფიკაციის დარგში;

დ) ამუშავებს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად მთავრობის მიერ დაწესებული ვადებისა და აგროტექნიკური წესების დაცვით;

ე) ეხმარება კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს მცენარეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებაში;

ვ) ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმების შესრულებას, ეწევა ახსნა-განმარტებითს მუშაობას პირუტყვის საუკეთესოდ მოვლის, ნამატის შენარჩუნების, პროდუქტიულობის გადიდებისა და სხვა საკითხების შესახებ;

ზ) მონაწილეობს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებაში; ხელს უწყობს საკარანტინო წესების დაცვას და ეხმარება ზოოვეტპერსონალს პირუტყვის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

თ) ხელს უწყობს საძოვრების გაუმჯობესებას და მიზანშეწონილად გამოყენებას, იღებს ზომებს ბალახების, ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის;

ი) თვალყურს ადევნებს ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების გაფუჭებისაგან დაცვას და ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამ ღონისძიებათა გატარებაში. თვალყურს ადევნებს აგრეთვე ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების დროზე გატარებას;

კ) ხელს უწყობს სარწყავი არხების სისტემის განვითარებას, წყლის მიზანშეწონილად გამოყენებას, ჭაობების ამოშრობას, ახალი ფართობების ათვისებას;

ლ) ხელს უწყობს ტექნიკური კულტურების, მეაბრეშუმეობისა და მეთუთიეობის განვითარებას;

მ) ხელს უწყობს, რათა განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ და თვალყურს ადევნებს დაწესებული შეღავათების გამოყენებას;

ნ) ხელს უწყობს სატყეო მეურნეობის საქმეს, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლების გაშენებას;

ო) ეხმარება კოლმეურნეობებს აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებაში;

პ) აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შემუშავებაში იმის გათვალისწინებით, რომ თვითეული კოლმეურნეობა მაღალნაყოფიერი გახდეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

24. სახალხო განათლების კომისია:

ა) ეხმარება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და სახალხო განათლების ორგანოებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში, ზრუნავს სკოლებში, საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებისათვის;

ბ) ხელს უწყობს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას; თვალყურს ადევნებს მათს მშენებლობას;

გ) ეხმარება სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ჩატარებაში, თვალყურს ადევნებს ყველა მათგანის სკოლაში ჩარიცხვას, არკვევს ცალკეული მოწაფეების სკოლისაგან ჩამოშორების მიზეზებს და იღებს ზომებს სკოლებში მათი დაბრუნებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ არ მოხდეს მოსწავლეთა განთესვა;

დ) ზრუნავს, რათა ობოლ და უმეთვალყურეო ბავშვებს, სამამულო ომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღუპულთა და ინვალიდთა შვილებს გაეწიოს მატერიალური და აღმზრდელობითი ხასიათის დახმარება, ამოწმებს პატრონობის ქვეშ მყოფი ბავშვების ცხოვრების პირობებსა და აღზრდას;

ე) ეხმარება სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში, სასწავლო სახელოსნოებისა და საცდელი ნაკვეთების მოწყობაში, თვალყურს ადევნებს სკოლების რემონტს, სათბობით, მერხებით, დაფებით, სახელმძღვანელოებით, რვეულებით და თვალსაჩინო ხელსაწყოებით უზრუნველყოფას;

ვ) ზრუნავს მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის (საცხოვრებელი ბინები, გათბობა და სხვ.);

ზ) ხელს უწყობს მოსწავლეთა პოლიტექნიკურ აღზრდას და მოსწავლეებში შრომითი ჩვევების განვითარებას სასკოლო საცდელ ნაკვეთებზე მათი აქტიური მუშაობით და საწარმოო დაწესებულებებთან (ფაბრიკებთან, ქარხნებთან) მჭიდრო კავშირის დამყარებით.

25. კულტურულ-საგანმანათლებლო კომისია:

ა) ეხმარება საბჭოს და აღმასკომს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებისა და მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში;

ბ) ხელს უწყობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, წითელი კუთხეების, თეატრების, მუზეუმების, დასვენების პარკების და სხვ.) ქსელის გაფართოების საქმეში;

გ) ხელს უწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას და მათს უზრუნველყოფას შენობებით და ინვენტარით;

დ) ხელს უწყობს წიგნების, გაზეთების, ჟურნალების გავრცელებას, წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების გახსნას, რადიოფიკაციის ქსელის გაშლას, კინოფილმების ჩვენებას (განსაკუთრებით სოფლად);

ე) ხელს უწყობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების მოწყობას;

ვ) ეხმარება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისებაში, კოლმეურნეობების სპეციალური ფონდებისა და თვითდაბეგვრის თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში;

ზ) ზრუნავს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

თ) ხელს უწყობს მშრომელთა ფართოდ ჩაბმას მხატვრული თვითმოქმედების წრეებში (დრამატულ, მუსიკალურ წრეებში, მომღერალთა გუნდებში და სხვ.) და აქტიურ მონაწილეობას იღებს მხატვრული თვითმოქმედების წრეების შემოწმების მოწყობაში.

26. ჯანმრთელობის დაცვის კომისია:

ა) ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სამკურნალო-სანიტარული ქსელის გაშლის საქმეში (საავადმყოფოების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების მოწყობა და სხვ.);

ბ) ამოწმებს და ხელს უწყობს სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებების მუშაობას და მათს კეთილმოწყობას;

გ) ხელს უწყობს საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობებში საბავშვო ბაღების მოწყობას, ფიზკულტურის ფართოდ განვითარებას, სოფლად და ქალაქად აბანოებისა და სამრეცხაოების მშენებლობას;

დ) ეცნობა დასახლებული პუნქტების სანიტარულ მდგომარეობას და ახორციელებს აუცილებელ სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

ე) ხელს უწყობს მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაწლას (ლექციები, საუბრები და სხვ.);

ვ) ხელს უწყობს კვებისა და სავაჭრო საწარმოების, აგრეთვე საზოგადოკვების საწარმოების, ბაზრების, აბანოებისა და წყლით მომარაგებისადმი ჯეროვანი სანიტარული მეთვალყურეობის გაწევას;

ზ) თვალყურს ადევნებს საწარმოებში ტექნიკური უშიშროების წესების დაცვის საქმეს და ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ბრძოლას პროფესიულ დაავადებათა და უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ;

თ) ყოველმხრივ ხელს უწყობს მედიცინის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ი) ხელს უწყობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიების მუშაობას;

კ) ხელს უწყობს სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის პირობების გაუმჯობესებას, თვალყურს ადევნებს საავადმყოფოებში, საბავშვო სახლებში, საბავშვო ბაღებში, სამშობიარო სახლებში და სხვა დაწესებულებებში კვების მდგომარეობას.

27. ვაჭრობისა და დამზადების კომისია:

ა) ხელს უწყობს სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაწლას და საქონელბრუნვის გეგმების შესრულებას;

ბ) თვალყურს ადევნებს და ამოწმებს ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ;

გ) თვალყურს ადევნებს და ამოწმებს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში ვაჭრობის წესების დაცვას (სწორი საზომსაწონის ხმარება, საქონლის ზუსტი წონითა და ზომით გაცემა, დადგენილი ფასების დაცვა, საქონლის სავალდებულო ასორტიმენტის დაცვა და სხვ.);

დ) თვალყურს ადევნებს და ეხმარება მუშაობაში დამამზადებელ ორგანოებს, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და ჩაბარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას;

ე) ამუშავებს საქონელბრუნვაში დამატებითი რესურსების მოზიდვის ღონისძიებებს (საქონლის შესყიდვა, დამხმარე საწარმოთა პროდუქციის გამოშვება და სხვ.);

ვ) თვალყურს ადევნებს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას და სწორად განლაგებას;

ზ) პრაქტიკულ დახმარებას უწევს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სავაჭრო განყოფილებებს საბჭოთა ვაჭრობის გაწლასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელებაში;

თ) ხელს უწყობს საკოლმეურნეო ვაჭრობის გაფართოებას, საკოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო ბაზრებსა და წერტილებში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ საქონელ-სოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვად შემოზიდვას;

ი) სისტემატურად ამოწმებს საკოლმეურნეო ბაზრების მდგომარეობას, თვალყურს ადევნებს ბაზრების კეთილმოწყობას, სათანადო სახსრების სრულად და დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

კ) თვალყურს ადევნებს სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ცალკეულ მუშაკებზე შემოსული საჩივრების დროულად განხილვას.

28. ადგილობრივი მრეწველობის კომისია:

ა) ხელს უწყობს ადგილობრივი მრეწველობის გეგმების შესრულებას და ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას;

ბ) ამუშავებს საკითხს, ადგილობრივი პირობებისა და ნედლეულის ბაზის შესაბამისად, ახალ საწარმოთა მოწყობის შესახებ (აგურის, კრამიტის, კირის წარმოება, ხის დამუშავება და სხვ.);

გ) ზრუნავს ადგილობრივი ნედლეულის ახალ სახეობათა გამოვლინებისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის;

დ) ხელს უწყობს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრებისა, პოლიტ-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობას, მუშებისა და არტელის წევრების კვალიფიკაციის ამაღლებას, საწარმოებში უშიშროების ტექნიკის დაცვას, მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ე) ამოწმებს შრომითი რეზერვების სისტემიდან გადმოცემული ახალგაზრდა კადრების სწორად გამოყენებას, შეგირდებისა და მოზარდების მუშაობის პირობებს;

ვ) ამუშავებს ღონისძიებებს წარმოებაში მექანიზაციის დანერგვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, დაგროვების გეგმების შესრულების და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის.

29. საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის კომისია:

ა) ეხმარება საბჭოს და საგზაო მშენებლობის ორგანოებს, რათა ჩაababს მოსახლეობა საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში, სასოფლო, რაიონული და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა და ხიდების მშენებლობისა და რემონტის შესრულებაში;

ბ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების მუდმივი საგზაო ბრიგადების ორგანიზაციას და მათს მუშაობას კოლმეურნეობების საგზაო სამუშაოთა გეგმის შესაბამისად;

გ) ამუშავებს ღონისძიებებს საგზაო სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

დ) თვალყურს ადევნებს სავალდებულო გადაწყვეტილებების შესრულებას საგზაო მშენებლობისა და რემონტის საქმეში;

ე) ატარებს მოსახლეობაში მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას გზების ექსპლოატაციის წესების შესახებ; საგზაო ნაგებობების, საგზაო ნიშნებისა და გზის პირებზე ნარგავების დაცვის შესახებ;

ვ) მონაწილეობას იღებს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ახალი ქუჩების, მოედნების და ბაზრების მოწყობა, არსებული ქუჩებისა და ტროტუარების, გარეგანი კეთილმოწყობის ობიექტების, ქუჩების განათების ხაზებისა და ხანძრის საწინააღმდეგო ნაგებობათა რემონტი);

ზ) თვალყურს ადევნებს სახლების, ეზოების, ქუჩების, მოედნებისა და ბაზრების მდგომარეობას;

თ) ზრუნავს არსებული წყალსადენებისა და სასმელი წყლის წყაროების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის, ახალი წყაროების მოწყობისათვის და სხვ.;

ი) ხელს უწყობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრების, სოფლების, სასკოლო და საავადმყოფოთა ნაკვეთების გამწვანებას, საზოგადო ბაღებისა და პარკების გაშენებას.

30. კომუნალური მეურნეობის კომისია:

ა) ხელს უწყობს საბინაო მშენებლობისა და კომუნალური საწარმოების (ელექტროფიკაცია, ელექტროქსელი, კანალიზაცია, წყალსადენი, აბანოები, სასტუმროები და სხვ.) მშენებლობის გეგმების შესრულებას და მათი ექსპლოატაციის გაუმჯობესებას;

ბ) თვალყურს ადევნებს ქალაქის საბინაო ფონდის წესიერ მოვლასა და დაცვას;

გ) იკვლევს საბინაო მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის მდგომარეობას, ცალკეული კომუნალური საწარმოების მუშაობას;

დ) ამოწმებს სასტუმროების, აბანოების, სახლების, ეზოებისა და ქუჩების სანიტარულ მდგომარეობას;

ე) ამოწმებს ქალაქის ტრანსპორტის მუშაობას, მის ორგანიზაციას, მოძრაობის შეუფერხებლობას და სხვ.;

ვ) მონაწილეობას იღებს ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებათა შემუშავებასა და გატარებაში, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციაში;

ზ) ყოველმხრივ ხელს უწყობს მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს კოლმეურნეობებში;

თ) ხელს უწყობს სახლმმართველობების მუშაობას ბინის ქირის ვადაზე აკრეფის, სახლების მოვლისა და დაცვის საქმეში.

31. გამწვანებისა და ტყის გაშენების კომისია:

ა) ხელს უწყობს სკოლების, საწარმოებისა და დაწესებულებების ტერიტორიის, ეზოების, ქუჩების, გზებისა და სარწყავი არხების გამწვანებას, დეკორაციული ნარგავებისა და ხეხილის გაშენებას;

ბ) ხელს უწყობს ტყის გაშენების, მოვლისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, დეკორაციული ნარგავებისა და ხეხილის სანერგეების მოწყობას;

გ) მონაწილეობას იღებს არსებული პარკებისა და მწვანე ნარგავების გაფართოებასა და დაცვაში;

დ) პრესის, რადიოს, კინოს, ლექციებისა და საუბრების საშუალებით ეწევა მოსახლეობაში გამწვანების, ტყის გაშენებისა და დაცვის მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას;

ე) ხელს უწყობს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის“ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ბრძანებულება მცხეთის რაიონის დაბა მცხეთის რაიონული დაქვემდებარებ ბის ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას მცხეთის რაიონის დაბა მცხეთა რაიონული დაქვემდებარების ქალაქ მცხეთად.

2. შემდგომში, მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებამდე, მცხეთის სადაბო საბჭოს დაევალოს საქალაქო საბჭოს მოვალეობის აღსრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

14. ბრძანებულება მცხეთის რაიონის ნიჩბისის სასოფლო საბჭოს სოფლების ნატბეურისა და ზეუბნის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1956 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და გაუქმდეს მცხეთის რაიონის ნიჩბისის სასოფლო საბჭოს სოფლები ნატბეური და ზეუბანი, ამ სოფლებიდან მოსახლეობის გეგმიანი წესით გარდაბნის რაიონში გადასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

15. ბრძანებულება გეგეჭკორის რაიონის ცენტრის სოფელ გეგეჭკორის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას გეგეჭკორის რაიონის ცენტრი სოფელი გეგეჭკორი დაბად.

2. შემდგომში, გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებამდე, გეგეჭკორის სასოფლო საბჭოს დაევალოს სადაბო საბჭოს შრომელთა დეპუტატების საბჭოს ვალეგობის აღსრულება.

3. გეგეჭკორის სადაბო საბჭოში შეტანილი იქნას დაბა გეგეჭკორი და სოფლები: საღლიავო, ნალეფსავო, ქვაითი და ნახარებავო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი—**ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.

16. ბრძანებულება ქუთაისის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან მ. კ. თოფურიძის გამოწვევის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება ქუთაისის რაიონის სახალხო მოსამართლის მ. კ. თოფურიძის გამოწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

1. გამოწვეულ იქნას ბეჟან კონსტანტინეს-ძე თოფურიძე საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისაგან.

2. სახალხო მოსამართლის ვადაზე ადრე გასვლის გამო „საქართველოს სსრ სახალხო სასაძართლოების არჩევნების დებულების“ 65 მუხლის შესაბამისად, ჩატარდეს ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნები 1956 წლის 4 ნოემბერს.

3. დაევალოს ქუთაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი—**ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 26 სექტემბერი.